ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2645050

ნომერი: AR1407720

თარიღი : 28.05.2016

გაცემის თარიღი : 21.06.2016

გაცნობის თარიღი : 21.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გამყრელიძე პ/ნ 01017041896
- თბილისი ვ.კოტეტიშვილის შეს. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28/05/2016 წლის №AR1407720 განაცხადით მომართა გიორგი გამყრელიძემ და ამავე სამსახურის 08/12/2015 წლის

№2331764 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანებით ქ.თბილისში, ქუჩა კრონშტანტი,(ცაგარელის) 72 /ქუჩა ცაგარელი N78, შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.10.14.022.012) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 08 დეკემბრიდან 2018 წლის 08 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, შეთანხმებული +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმაზე არასწორადაა მითითებული საცხოვრებელი ფართობი, რაც იწვევს მთლიანი საცხოვრებელი ფართობის მაჩვენებლისა და საერთო ფართობის მაჩვენებლის ცვლილებას.
წარმოდგენილი განცხადებით წარმოდგენილია გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმა და მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და სამსახურის №2331764 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3304,4; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5398,1;
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ასევე, რადგან სამსახურის №2331764 ბრძანებით შეთანხმებულ +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმაზე ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, ის ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ 28/05/2016 წლის №AR1407720 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3304,4; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5398,1; ასევე, №2331764 ბრძანებით შეთანხმებული +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 28/05/2016 წლის №AR1407720 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით. სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08/12/2015 წლის №2331764 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.